ცნობის ფურცელი

№ 2228 სამშაბათი 5 აგვისტო 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2228

ფასი: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი ბრივი ხტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. წერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

3 მანეთი ღირს ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

ურაში ორის სურათებიანის დამატებით 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე

ფოთის საბუღალტერო კურსები

კ. გიგინეიშვილისა.

თხოვნა მიიღება ყოველ დღე. სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდან. პროგრამები ველთ გაეგზავნება უფასოდ. კურსებისთვის აშენებულია საგანგებო კაბინეტი პრაქტი- განყოფილებაში ფიქტიურ ოპერაციების საწარმოებლად. კურსების ჩინებულად დამ- ლებელთ თვით კურსის დამაარსებელი უჩინს ადგილს (ნ. 0—2)

ტფილისის

ერძო სამკურნალო

ურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დ ო ქ ტ ო რ ი:

ტ. მულინი.—შურისა, ყელისა და ცხვი- 9—10.

ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვე- და წამლობა ელექტრონით 11—1 ს.

ვ. ხოზოლევსკი—ხირურგია და ორ- მეღ: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკე- ით და შაბათობით 1—2 საათ.

სამკურნალოს აქვს თბი საწოლი კრავატი.

ასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; რაციები მორიგებით. კრავატები—სამი თიდან ხუთამდე.

რესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, სახლი ამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან კი 34 ნ. (ფ.) ტელეფონი № 274.

ე ქ ი მ ი

ვ. ს. მუსხელიშვილი

ილებს თვალით ავადმყოფებს დილით -8 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 ი ეჩნაძისა. (წლ.)

ქ ა ლ ე ბ ი ს

პროგიმნაზია

ელენე ბახტაძისა

ტ. ხონში

ით აცხადებს, რომ მოსწავლეთა მიღება ა კლასებში დაიწყება 20 აგვისტოდან გრძელდება მთელი წლის განმავლო-

ოვნები უნდა გამოგზავნონ პროგიმნა- უფროსის—ელენე ბახტაძის სახელო-

ავლის საფასური როგორც მოსამზადე- ისე პროგიმნაზიულ კლასებში 30 მა- წელიწადში. (ნ. 3—2)

...ლი ორგანიზაცია საეკკლესიო სკო... ის მართვა-გამგეობისა საქართვე- ლოს საეგზარხოსოში.

(დასასრული *)

... საოლქო საბჭო თვალ-ყურს ადევნებს ...ლესიო სკოლის საქმის წესიერ წარმო- საქართველოს საეგზარხოსოში და ყო- საშუალებასა და ღონესა ხმარობს, რომ ...ვლე მართლ-მადიდებელნი მტკიცენი ...ნ სარწმუნოებასა და კეთილ ზნეო-

... საოლქო სასწავლებელთა საბჭომ უნდა ...ლოს საქართველოს საეგზარხოსოს საე- ...ო სასწავლებელთა საბჭოების დადგე- ...ბანი ყველა იმ საქმეების გამო, რომელ- ...საც უწმ. სინოდის ნებართვაა საჭირო; გარდა საქართველოს ეგზარხოსი საოლ- საბჭოს გადასცემს იმ საქმეებს საეკკლე- სკოლების შესახებ, რომელთა განხილვა ში საჭიროდ მიაჩნია.

7. საქართველოს საეგზარხოსოს საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოებმა უნდა წარუდგინონ საოლქო საბჭოს წლიური ანგარიშები მათდამი რწმუნებულ საეკკლესიო სკოლების მდგომარეობის შესახებ. საოლქო საბჭო ამ ანგარიშების მეოხებით ადგენს საერთო ანგარიშს საქართველოს საეგზარხოსოს სკოლების შესახებ. ეს ანგარიში უნდა წარედგინოს უწმ. სინოდთან არსებულ სასწავლებელთა საბჭოს.

8. საოლქო საბჭომ ყოველ წელიწადს, 1 დეკემბერს, უწმ. სინოდთან არსებულ სასწავლებელთა საბჭოს უნდა წარუდგინოს მომავალ წლისათვის საერთო აღრიცხვა იმ ხარჯისა, რომელიც მოუნდება საქართველოს საეგზარხოსოს საეკკლესიო სკოლების დაარსებასა და შენახვას.

9. საოლქო საბჭოს დადგენილებანი უნდა წარედგინოს საქართველოს ეგზარხოსს დასამტკიცებლად ან უწმ. სინოდში გასაგზავნად.

10. სხვა და სხვა ეპარქიის საეპარქიო და სამაზრო მეთვალყურეთა მოქმედების გასაერთიანებლად, უწმ. სინოდი ეგზარხოსის წარდგენილებით ჰნიშნავს სამღვდელოთაგან საეკკლესიო სკოლების საოლქო ზედამხედველს.

11. საოლქო საბჭოსა და საოლქო ზედამხედველს ნება აქვთ იქონიონ ბეჭდები გუბერნიის დაწესებულებათათვის დადგენილ ნიმუშისა (კანონთა კრებული 1883 წ. მუხლი 507).

12. საქმის წარმოება საოლქო საბჭოში მიენდობა განსაკუთრებულ კაცს, რომელსაც ეგზარხოსი ჰნიშნავს, ხოლო ხაზინადრის თანამდებობას აასრულებს საბჭოს ერთი წევრი, საბჭოს მიერ არჩეული.

II დაენიშნოთ: საქართველოს საეგზარხოსოს საოლქო ზედამხედველს წელიწადში—2,400 მანეთი (აქედან: ჯამაგირი—960 მან., ულუფისა—960 მან. და სადგომისა—480 მან.); იმასვე 1000 მანეთი წელიწადში გზის ფულად და საკანცელარიო ხარჯად; საოლქო ზედამხედველს უფლება ექნება წესისამებრ მიიღოს პენსია; საოლქო საბჭოს მუდმივ წევრთ არა სასულიეროთაგან—მე-VI კლასის თანამდებობა—და საბჭოს საქმის მწარმოებელს—1200 მან. (აქედან: ჯამაგირი—480 მან., ულუფისა—480 მან. და სადგომისა 240 მან.). თანამდებობით საქმის მწარმოებელი მე-VIII კლასს ეკუთვნის.

Ш. მე-II განყოფილებაში აღნიშნული ხარჯი: 4600 მანეთი წელიწადში—თანამდებობის კაცთა ჯამაგირად და 1000 მანეთი—საოლქო საბჭოს კანცელარიის შესანახად, გადაიდოს იმ თანხიდან, რომელიც უმაღლესად დამტკიცებულ სახელმწიფო საბჭოს დადგენილების ძალით უწმ. სინოდის ხარჯთ-აღრიცხვით ყოველ წელიწადს ინიშნება მეორე კლასიან სამრევლო-საეკკლესიო სკოლების დასაარსებლად და შესანახად.

სახელმწიფო საბჭოს ეს დადგენილება ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად კეთილ ინება და დაამტკიცა 1903 წელს მაისის 26 დღესა.

---

*) ...ბ. „ცნობის ფურცელი“ № 2227.

საზღვარ-გარედ

მაკედონია. რუსეთის კონსული როსტკოვსკი ბიტოლიაში მოჰკლეს. ამ ამბავმა ძლიერ აალელვა ზოგიერთი რუსული გაზეთი. „პეტერბურგსკი ვედომოსტი“-მ ბევრი წერილი უძღვნა ამ ამბავს. ერთ წერილში გაზეთი ამბობს:

„დროა ევროპიდან განიდევნენ ფანატიკოსი ოსმალები, ეს საზიზღარი, დამშეულ მგლის ხოროსავით ძალად შემოსეული ხალხი. ხუთი საუკუნეა, რაც ეს ხალხი თავხედურად სჩაგრავს ისეთ ერებს, რომლებიც განათლებითაც და ჩამომავლობითაც ოსმალებზე მაღლა დგანან. თუ საერთაშორისო რაზმმა კუნძული კრიტი დაიჭირა, განა არ შეიძლება, რომ მაკედონია კიდევ ბოლგარიის ჯარმა და დაინტერესებულ სახელმწიფოთა რაზმმა დაიჭირონ? ოსმალეთი უნდა დასთანხმდეს ამას, ან არა და უნდა იცოდეს, რომ ამის გულისათვის ომი მოუხდება“...

ერთის სიტყვით, გაზეთი მეტად გულმოსულია, რომ შეეძლოს ომს გამოუცხადებდა ოსმალეთს. გერმანიაზედაც ჯავრი მოსდის გაზეთს, რადგან იცის, რომ გაჭირვების დროს გერმანია ოსმალეთს მოეხმარება. გაზეთი ურჩევს რუსეთის დიპლომატებს, თავდაპირველად გერმანიას უნდა ხელი აალებინოთ რუსეთის წინააღმდეგობაზეო; თუ გერმანია თავისას არ მოიშლის, გაზეთს მაინცადამაინც არც ამ მძლავრ სახელმწიფოსი ეშინიან. ან კი რა ჰქნას, როდესაც სტამბოლში წმინდა სოფია გულდაწყვეტილია და სულ იმის ფიქრშია, როდის იქნება, რომ ჩემ გუმბათზე რუსის ჯვარი დაასვენონო. გაზეთი ამბობს: „რუსის ჯვარი იხსნის წმინდა ტაძარს მუსულმანთა უწმინდურებისა და სულ გაყიდულ ბერძენთა ულირს ხრიკებისაგან. სლავიანთა ერნი ჯვარედინ გზაზე დგანან: უკანასკნელი ჟამი დადგა, ორში ერთი უნდა ავირჩიოთ: ან რუსეთის ხიშტის ჩრდილ ქვეშ თავისუფალ ძმა ერთა ძლიერი ფედერაცია უნდა შევქმნათ, ან არა და უძლურად თავი დავიხაროთ პანგერმანიზმის ტალღის წინ... ეს ტალღა აზვირთდა, იმუქრება,—ხვალ ყველაფერს წაჰლეკავს და გაანადგურებს“.

◆ გაზეთი „სვეტ“-ი სწერს: „მოჰკლეს შჩერბინა, მოჰკლეს როსტკოვსკი, ხვალ ან ზეგ კიდევ სხვა კონსულს მოჰკლავენ... ვინ იცის, იქნება ჩვენი ელჩიც კი მოჰკლან? ისტორიაში არა ყოფილა ჯერ ასეთი მაგალითი, რომ „მეგობარ“ სახელმწიფოს ჯარის-კაცები ნადირივით ჰხოცდნენ მეორე სახელმწიფოს დიპლომატიურ წარმომადგენლებს. თუ ოსმალეთი ევროპის სახელმწიფოთა კონცერტის წევრია, მაშ რუსეთის კონსულებს რაღადა ჰხოცვენ; თუ ოსმალეთს აღარაფერი ძალა აღარ აქვს და თავის გამხეცებულ ჯარის-კაცების სათამაშოდ გამხდარა, მაშინ კიდევ ოსმალეთს ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს ევროპაში. ასე თუ ისე, ამისთანა ამბები მოსათმენი არაა. ოსმალებმა ჩვენის ხელმწიფე-იმპერატორის მოწყალე საქციელიც კი არ დააფასეს: ხელმწიფემ ხონთქარს სთხოვა, შჩერბინას მკვლელს სიკვდილით ნუ დასჯითო... ამას იქით ოსმალეთს სულ სხვანაირად მოექცევიან...“

„ნოვოე ვრემია“ თხოულობს, რომ მაკედონიაში ჟანდარმერიისა და პოლიციის უფროსებად რუსისა და ავსტრიელი ოფიცრები მიიღონ; ჟანდარმერიისა და პოლიციის გარდა, მაკედონიის ადმინისტრაციაც დაუყოვნებლივ მთლად უნდა გამოიცვალოსო.

ყველაზე თავდაჭერით, რასაკვირველია, „რუსსკია ვედომოსტი“ უყურებს ამ საქმეს. მაგრამ ეს გაზეთიც კი იმ აზრისაა, რომ ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე შეიძლება დიდი ამბები მოხდეს, თუ ევროპის დიპლომატია წინადვე არ ეცდება, ბალკანეთს განსაცდელი თავიდან ააშოროსო. მართლა დიპლომატიას მეტად ძნელი საქმე აქვს გადასაწყვეტი, მაგრამ თუ გულწრფელად მოინდომებენ და მხნედ ეცდებიან, შეუძლიანთ ეს საქმე უომრად, მორიგებით გაათავონო.

„გერმანულ გაზეთ „კელნიშე ცაიტუნგ“-ს სწერენ ვენიდან: ხმა გავრცელდა, რუსეთის კონსული ბიტოლიაში ოსმალოს ჯარის კაცებმა მოჰკლესო. თუ ეს ამბავი გამართლდა, პორტას ახალი განსაცდელი მიადგება კარსა. კონსული როსტკოვსკი დიდი ხანია ისე იქცეოდა, რომ ყველას თავი მოაბეზრა; ჯარის კაცებსა და მოხელეებს სამსახურის ასრულების დროსაც კი მოქმედებით შეურაცხყოფას აყენებდა. ეს ყველაფერი მართალია, მაგრამ ოსმალეთში უცხოეთის კონსულებს ისეთი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ, რომ იმათ მოკვლასაც განსაკუთრებული ამბები მოჰყვება ხოლმე“.

რუსული გაზეთი „ნოვოსტი“ შეჰნიშნავს: მოკლული კონსული თავის დღეში ცუდად არავის მოჰქცევიაო; ალბად, გერმანული გაზეთი განგებ იგონებს ამ ამბავსაო.

„ნ. ფ. პრესე“-ს სალონიკელი კორესპონდენტი იწერება: რუსეთის მოკლული კონსული როსტკოვსკი მაკედონიის აჯანყების სულადა და გულად ითვლებოდაო.

საფრანგეთი. იქით კვირია შაბათს პირველი მინისტრი კომბი მარსელში ჩასულა. ყველა გაზეთი იუწყება, რომ მარსელში დიდის აღტაცებით მიიღეს კომბიო. ვოგზალზე პირველ-მინისტრს დაუხვდნენ პელტანი, შრისონი, რონის შესართავის დეპარტამენტის დეპუტატები და სენატორები, ქალაქის მოურავად ნამყოფი სოციალისტი ფლესიერი და სხვ. ვაგზლიდან ბროლის სასახლემდე, სადაც კომბი მიდიოდა, ყველგან გზაში დიდ-ძალი ხალხი იდგა და კომბს სალამს აძლევდა: „გაუმარჯოს კომბს!“, „ძირს ბერები და მღვდლებიო!“ ბროლის სასახლეში მასწავლებელთა საზოგადოების კონგრესი იყო გამართული; კონგრესში რამდენიმე ათასი მასწავლებელი იღებდა მონაწილეობას. როცა კომბი სასახლეში მივიდა, კონგრესის წევრებმა ოვაცია გაუმართეს. კონგრესის თავმჯდომარის ხალამის პასუხად კომბმა სიტყვა წარმოსთქვა ... მასწავლებლებს გაახსენა ყველაფერი, ... რესპუბლიკამ იმითთვის გაარიგა, და ... დღევანდელ დღის ვარამზე ილაპარაკა, ... პირველმა მინისტრმა სთქვა:

„რაც უნდა სთქვან, მასწავლებლებს ყოველთვის ერთად-ერთი ლოზუნგი ჰქონდათ—რესპუბლიკის საქმეს ემსახურებოდნენ. უკანასკნელ 14 თვის განმავლობაში პარლამენტმა ახალი წესები დააწესა და სახალხო მასწავლებელთა მოქმედების ასპარეზი გააფართოვა. ეხლა სწრაფად ვუახლოვდებით ბრძოლის დასასრულს. ეს ბრძოლა იმ დღეს დაიწყო, როცა ახალმა კანონებმა მასწავლებელს სახელმწიფო მოსამსახურის უფლება მიანიჭეს და როცა სახელმწიფომ, უფასო სწავლა დააწესა და გადასწყვიტა, რომ ეს სწავლა საერო ყოფილიყო და არა კლერიკალური. პირველში დროებითი ღონისძიება მიიღეს, ეხლა კი ეს საქმე უნდა დასრულდეს, დაგვირგვინდეს. საქმის დასამთავრებლად, პარლამენტის უმეტესობამ ახალგაზრდათა აღზრდა ხელიდან გამოჰგლიჯა კონგრეგაციებს (ტაშის ცემა). ცოტა კიდევ დავიცადოთ, ერთი ცდა კიდე ვეცადნეთ,—და ბერების სწავლება გაჰქრება; ბერების მაგივრად სახალხო მასწავლებლები იქნებიან ყველგან. სარწმუნოებრივ სწავლის მომხრეები ახალ საერო სკოლას დასცინიან და ჰგმობენ: ეს სკოლა თავის მოწაფეებს ზნეობრივ აზრებს ვერ ჩაუნერგავსო. გასინჯონ პირველ-დაწყებითი სკოლების პროგრამა და დარწმუნდებიან, რომ საერო სკოლა უყურადღებოდ არა სტოვებს ნამდვილ ზნეობას

რისთვის ჰგმობენ საერო სკოლას? იმისთვის, რომ ამ სკოლისა ეშინიანთ და ჰფიქრობენ, ვაი თუ თავის საფუძვლიანის სწავლით, ზნეობის წესებით და აზრებით ხალხი არ მიიზიდოსო. ხანგრძლივი და დიდი ბრძოლა დასჭირდა საზოგადოებას ადამიანის გონებისა და სულის დამოუკიდებლობისათვის, სინამ ეხლანდელ სკოლის პრინციპები შეიმუშავა. ეხლანდელი სკოლა მშვენივრად უნათებს ქვეყნიერობას და საუკუნოების წყვდიადს ჰფანტავს. ამ წყვდიადის ბატონობის დროს კაცობრიობის აზრი საუკუნო ძილს მისცემოდა. ეს ძილი ზოგიერთს ბედნიერ მოსვენებადა და მშვიდობიანობად მიაჩნდა. რესპუბლიკა ავალებს სახალხო მასწავლებლებს, რომ ეს სინათლე ხალხის უმეტესობას მოჰფინონ. სკოლის სხივები საზოგადოებრივ კლასთა შუა ძველებურ განსხვავებას გააქრობენ, თუმცა კი ბევრს გულით უნდა, რომ ეს განსხვავება საუკუნოდ დარჩეს. სკოლის სხივები თვით დამცირებულ ხალხსაც კი მაღალ ზნეობას ჩაუნერგავს. მაშინ ყველანი მიჰხვდებიან, რომ ჩვენი მოქმედება სასარგებლო იყო. ეხლა კი ჩვენი პროგრამა მეტად აშინებს ეგოისტებს. სახალხო მასწავლებლები ერთგულად ემსახურებოდნენ რესპუბლიკას ბედნიერების დროსაცა და უბედურების დროსაც. ვერც მაკ-მაგონის დროის შეთქმულებამ, ვერც ბულანჟიზმმა მასწავლებლების ერთგულება რესპუბლიკისადმი ვერ შეადყეს. ეხლაც ნაციონალისტებმაც ვერ აიყოლიეს მასწავლებლები, ამიტომ ეხლა ნაციონალისტებიც ცუდად იხსენიებენ სახალხო მასწავლებლებს. მასწავლებლებმა იმ სულ-მოკლე რესპუბლიკელებსაც მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს, რომლებიც რეაქციას დაუკავშირდნენ. დარწმუნებული ვარ, რომ მომავალშიაც ისე, როგორც წარსულში, თქვენ რესპუბლიკის მოციქულები იქმნებით და ახალ სჯულის ემსახურებით; ამ ახალ სჯულის საკურთხეველი თავისუფლება იქმნება, დოგმატი—მოქალაქის უფლება და მოვალეობა, გამოცხადება—ადამიანის სინიდისი და გონება“. (ტაშისცემა; ძახილი: „გაუმარჯოს კომბს, გაუმარჯოს რესპუბლიკას!“).

◆ ენზონში გაფიცვა მუშების გამარჯვებით გათავდა. გაზეთები იუწყებიან: იქით კვირია, შაბათს ენზონში საფრანგეთის ვაქსის კომპანიის პასუხი მოვიდა. კომპანია მუშების მოთხოვნილებას ასრულებს. დასთანხმდა სამუშაო ქირის მომატებას და სხვა უფრო წვრილმან მოთხოვნილებასაც ასრულებს. ამიტომ გაფიცვა გათავებულად ჩაითვლება. ამბობენ, პირველ მინისტრის შვილი ედგარ კომბი კომპანიის გამგეობის დირექტორს ამ საქმეზე ელაპარაკა და მუშების მოთხოვნილების შესრულება ურჩიაო; კომპანიამაც გაიგონა ეს რჩევაო.

ინგლისი. შაბათს ლორდთა პალატამ ირლანდიის საადგილ-მამულო ბილის მეორედ წაკითხვა გაათავა. წინადადებანი ბილის შეცვლის თაობაზე მომეტებულ ნაწილად უარ-ჰყვეს; მართალია, ორიოდე წინადადება მიიღეს კიდეც, მაგრამ ამ წინადადებათ არაფერი მნიშვნელობა არ ექნებათ.

◆ პურის ბაჟების წინააღმდეგ დაწესებულ უნიონისტების ლიგას ამ დღეებში ბევრი გამოჩენილი კაცი მიემხრო: მანჩესტერის ჰერცოგი, ლორდი ლიტონი, ლორდი გოშენი, პროფესორი დაისი, ფრედერიკ პოლოკი და სხვ.

◆ „დეილი მეილ“-ი იუწყება: ფინანსთა, მრეწველობის და ვაჭრობის სამინისტროების მოხელეებს ერთხმად გამოუცხადებიათ ბირმინჰამის სატამოჟნო კომისიისათვის, წინააღმდეგი ვართ, რომ პურსა და სხვა სანოვაგეს ბაჟი დაედოსო. ბირმინჰამის სატამოჟნო კომისია წინადადებას იძლევა, კოლონიებიდან მოტანილ პურსა და სხვა სანოვაგეს შეღავათიანი ბაჟი დავადვათო. „დეილი მეილ“-ი უმატებს: საფინანსო გამოკვლევა ეხლა გათავებულად ჩაითვლება. მინისტრები აქამდე სულ იმას ამბობდნენ, რომ გამოკვლევის დასრულებას ველითო. ჰფიქრობენ, რომ სამინისტროს მცოდნე მოხელეების აზრი დიდ გავლენას იქონიებს პირველ-მინისტრ ბალფურზედაცო.

◆ „მორნინგ ლიდერ“-ის საპარლამენტო კორესპონდენტი იუწყება: სამინისტრო, ცოტა არ იყოს, უკან-უკან იწევს. აქამდე ბალფურის და ჩემბერლენის [illegible] საფინანსო პოლიტიკის თაობაზე გამოძიება და გამოკვლევა ჯერ არ დასრულებულაო, მაგრამ ის კი არას დროს არ უთქვამთ, რომ საფინანსო პროექტი ბაჟების დაწესებაზე არ არსებობსო. იქითა შაბათს კოლონიების მინისტრმა პირველად უპასუხა ერთს დეპუტატს, „მთავრობას პარლამენტისათვის წინადადება არ მიუცია, რომ კოლონიებისათვის შეღავათიანი ტარიფი დაწესდესო“. კორესპონდენტი ამბობს, ამ პასუხმა ძლიერ გააკვირვა პალატაო. ზოგი დეპუტატი იმ აზრისაა, ეს პასუხი უკან დახევასა ჰნიშნავსო. ჰფიქრობენ, რომ მთელის ხალხის მედგარმა წინააღმდეგობამ ჩემბერლენი შეაშინა და ეხლა კოლონიების მინისტრი მზადაა, როგორმე უკან დაიხიოსო.

ავსტრო-ჰუნგრეთი. ჰუნგრეთის სამინისტროს კრიზისი ალბად კიდევ დიდხანს გასტანს. იმპერატორს გამოუცხადებია, რაც დავუთმე, იმაზე მეტს ველარას დავუთმობ ჰუნგრეთსაო; უამისოდ კი, ე. ი. თუ არა დაუთმო-რა ოპოზიციას, ჰუნგრეთის სამინისტროს შედგენა მეტად გასჭირდება. პირველ მინისტრის თანამდებობაზე ბევრ კანდიდატს ასახელებენ: სელის, ვეკერლეს, ფრაფ აპონიის, ლუკაჩს, გრაფ ტისას და სხვ. ნაირ-ნაირ მიმართულების გაზეთები თანახმანი არიან, რომ ყველაზე უფრო სასურველი ისევ სელის სამინისტრო იქნებოდაო, მაგრამ არა სჯერათ, რომ სელიმ ეხლა პირველი მინისტრობა იკისროს. ამბობენ, ავსტრიის პირველი მინისტრი კერბერი სელის სანახავად წავიდაო; ეს ამბავი, თუ მოგონილი არაა, იმის ნიშანია, რომ ვენაში უნდათ, ისევ სელს მიანდონ კაბინეტის შედგენა. პირველ მინისტრად ნამყოფი ვეკერლეც მაგრე რიგად არ მოსწონთ ვენის სასახლეში, ამას გარდა, ვეკერლეს სახალხო კლერიკალური პარტიაც ობსტრუქციით ემუქრება. არც თუ გრაფ აპონიი მოსდის ჰკუაში ვენის წრეებს, თუმცა კი გრაფ აპონიის ისეთი გავლენა აქვს პარლამენტში და ისეთ პატივსა სცემენ სხვა და სხვა პარტიები, რომ პირველ მინისტრად ამ გაჭირვების დროს ყველაზე მეტად ეს გამოდგებოდა. ფინანსთა მინისტრი ლუკაჩი ძლიერ მიღებული კაცია ვენაში, სამაგიეროდ პარლამენტს არ მოსწონს, ამიტომ ლუკაჩი ვერას გააწყობს პარლამენტში. გრაფ ტისამ სელის შემდეგაც სცადა კაბინეტის შედგენა, მაგრამ ისეთი სასტიკი ბრძოლა დააპირა ობსტრუქციონისტებთან, რომ ლიბერალურ პარტიის უმეტესობაც კი გადაუდგა; ალბად, ტისას ეხლაც გაუჭირდება კაბინეტის შედგენა.

შეერთებული შტატები. მემრის შტატებში პრეზიდენტის არჩევანი მოხდება. იქაური პარტიები ეხლავე ემზადებიან ამ არჩევანისათვის. ეხლანდელი პრეზიდენტი რუზველტი ზანგის მოძულეთა გარდა კაპიტალისტების ტრესტებსაც (დიდი კამპანიები) სძულთ. კაპიტალისტებს ძლიერა სწყინთ, რომ რუზველტმა შარშან პენსილვანიაში ქვანახშირის მადნებში გაფიცულ მუშების წინააღმდეგ ჯარი არ გაჰგზავნა და „ანარქისტების“ სასიამოვნოდ სამედიატორო კომისია დანიშნა მუშებისა და მადნის პატრონების მოსარიგებლად. ამიტომ დიდი კაპიტალისტები, როგორც გაზეთები იუწყებიან, მემრისს რუზველტს აღარ მიემხრობიან. ესენი ეხლავე სხვა კანდიდატს ასახელებენ. ამათის აზრით, რუზველტს ისევ დემოკრატების კანდიდატი პრეზიდენტად ნამყოფი კლივლენდი ემჯობინება. კლივლენდმა 1894 წელს, რკინის გზის მუშებმა რომ დიდი გაფიცვა მოახდინეს, ჯარი გაჰგზავნა, მუშები დააწყნარა და რკინის გზის კამპანიების გამარჯვებას ხელი შეუწყო. რასაკვირველია, კაპიტალისტებს ამისთანა პრეზიდენტი უფრო ხელს მისცემთ. თითონ განთქმული პიერპონ მორგანიც კლივლენდის მომხრეა თურმე.—ან კი როგორ არ იქნება, როდესაც კლივლენდის დროს მორგანმა სახელმწიფო სესხის რეალიზაციით, ხელად, უკრავ-უგინებლად, თითის გაუნძრევლად რამდენიმე მილიონი მოიგო, იმის წყალობით მოიგო, რომ სესხის რეალიზაცია კლივლენდმა მარტო მორგანის ბანკს მიანდო; კანონის ძალით კი ამ საქმეზე საჯარო ხელის მოწერა უნდა გაემართნა. ამას გარდა, რუზველტმა ტრესტებს, თუმცა კი სუსტად, მაინც მოსთხოვა კანონის ასრულება და ამითაც ძლიერ [illegible] კაპიტალისტები. ამიტომ ჰფიქრობენ, კაპიტალისტები ყოველ ღონეს იღონებენ, რომ მემრისს რუზველტი გააშავონ და იმის მაგიერად უფრო მორჩილი პრეზიდენტი აირჩიონო.

ახალი ამბავი

◆ ერევნის მაზრის ბაშგორინისა, დვინისა და დავალის სოფლის საზოგადოებათა მცხოვრებლებმა, 800 კაცმა, **სახჩივრით მიჰმართეს** ერევნის გუბერნატორს და გამოუცხადეს, სახაზინო ტყის დარაჯები ჩვენს სანადელო მიწებზე ამოსულ ჩირგვების სარგებლობისთვის წელიწადში თითო კომლს 2—3 მან. უკანონოდ გვახდევინებენო. გუბერნატორმა გამოძიება მოახდინა და აღმოჩნდა, რომ გლეხები მართალნი ყოფილან, ამის გამო გუბერნატორმა სთხოვა მიწათმოქმედების მინისტრის რწმუნებულს, პასუხის გებაში მისცეს აღნიშნული მოხელენი. რწმუნებულმა ეს ამბავი შეატყობინა ერევნის გუბერნიისა და ყარსის ოლქის სახელმწიფო ქონებათა გამგეობას და დაავალა წარმოუდგინოს დაწვრილებით ცნობები ამ საქმის შესახებ.

◆ როგორც „ჩერნ. ვესტ“. გადმოგვცემს, ამიერ-კავკასიის რკინის გზის დასაცველად უნდა შესდგეს **რკინის გზის სამხედრო ბრიგადა.**

◆ **ნავთლუღში** ქალაქის თვით-მმართველობას ასე 7 დესეტინა მიწა აქვს. გამგეობა ჰფიქრობს ეს ადგილები დაჰყოს ნაჭრებად და იჯარით გასცეს. ამ დღეებში გამგეობამ უკვე გაჰგზავნა მიწის მზომელი.

◆ 20 აგვისტოსთვის დასრულდება შეკეთება ტფილისის **სავაჭრო სასწავლებლის** შენობისა. 22 აგვისტოდან ამ სასწავლებელში დაიწყება ახლად შემსვლელ მოსწავლეთა გამოცდა. ახალ შენობაში გადატანილი იქმნება უმცროსი კლასები, რომელიც დღემდე მოთავსებული იყო ზავრიევის სახლში.

◆ **რედაქციამ მიიღო „მათიკო და მისი გა[illegible]“** [illegible] წიგნაკი ამ თვისა, [illegible] მიერ [illegible]. [illegible]. ფასი ორი შაური.

◆ **როგორც შარშან ღამის თავშესაფარის გამგის ანგარიშიდან სჩანს, ივლისის განმავლობაში თავშესაფარით უსარგებლნია 1422 კაცს. აქედან მამა-კაცი ყოფილა 1304 და დედა-კაცი 118 ეროვნებით ასე განაწილდებიან რუსი 547, სომეხი—660, ქართველი—166, გერმანელი—1 და პოლონელი 38.**

◆ **გორის მაზრის უფროსის უმცროსი თანაშემწე ნიზბეკოვი ტფილისის გუბერნიის გამგეობის საქმის მწარმოებლად გადმოიყვანეს.**

◆ მეტეხის აღმართის მცხოვრებნი მეტად შეუწუხებია ვიღაც თავზე ხელ-აღებულებს, რომელნიც რაღაც განზრახვით ხან კარებს ამტვრევენ, ხან ეზოებში იპარებიან და ხან რას სჩადიან. საკვირველია, რატომ პოლიცია ყურადღებას არ აქცევს.

◆ პოლიციის მე-8 ნაწილში, ღამე, სამ აგვისტოს ქურდობისათვის ყოველ ღირსება-ჩამორთმეულს გრიგოლ ზიუზინს ტფილისის მოქალაქის ივანე ბეზპროზვანის სახლის ფანჯრიდან მინა გამოუღია, შეპარულა და იქ სახლის პატრონის ტანისამოსისა და ფულის 175 მან. მოპარვა სდომებია. ის იყო ქურდი ფანჯარაში უნდა გადასულიყო, რომ ბეზპროზვანმა შეიტყო, მივარდა და ქურდი იქვე დაიჭირა.

◆ 3 აგვისტოს, ღამე, ვერის დაღმართზე რაღაც მიზეზისა გამო წაიჩხუბნენ ივანე მელიხოვი და ტფილისის მოქალაქე თედოროვი. მელიხოვმა დანა ჩაჰკრა მუცელში მეორეს და მძიმედ დასჭრა. დაჭრილი მიხეილის სამკურნალოში წაიყვანეს.

◆ 3 აგვისტოს პოლიციის მე-8 ნაწილში მტკვარზე საბანაოდ ჩასულა ტფილისის მცხოვრები ნიკოლოზ ნიკიტინი, რომელიც წყალმა ჩაითრია და ის იყო იხრჩობოდა, მაგრამ მიეშველნენ და გადაარჩინეს.

◆ პოლიციის მე-7 ნაწილში, 2 აგვისტოს, ლაზარევის ქუჩაზე, უეცრად გარდაიცვალა მებულკე მათე კონდრატის ძე ეგოროვი. გარდაცვალებულის გვამი მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს.

◆ პოლიციის მე-9 ნაწილში, არსენალის ქუჩაზე, მირაქოვის სახლში ივანე ბაბანასოვს ჩხუბი მოსვლია თავის საყვარელთან, მარიამ მასლენიკოვთან. ქალს რევოლვერი აუღია, ჩხუბის დროს ტყვია გავარდნილა და თვითონ მოჰხვედრია.

◆ 3 აგვისტოს სოფ. ავჭალის ერთ ბაღში ჩხუბის დროს ტარას მიმცეძაძემ მძიმედ დასჭრა პეტრე მოდებრიძე.

◆ პოლიციის მე-6 ნაწილის ბოქაულმა სთხოვა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას, გაჰგზავნოს ტეხნიკოსი კრასილნი ქუჩაზე თობჩიბაშევის სახლის შესამოწმებლად. ამ სახლის კედლები ისე დასკდა, რომ ეს-ეს არის უნდა ჩამოინგრეს.

რუსეთის ქრონიკა

◆ კიევის გაზეთებში მოთავსებულია ნერალ-გუბერნატორის განცხადება, ლითაც იგი აფრთხილებს კიევის მცხოვ ლებს, ნუ გაივლით და ნუ შეჩერდებით ადგილებში, სადაც არეულობაა მოსალო ნელიო, რადგან, თუ საჭირო იქმნა არ ლობის ჩაქრობა გამოწვეულ ჯარის სა ლებით, რომელიც იარაღს იხმარს, შეიძ ბა უბრალო ცნობის მოყვარეობის მიზე თქვენც დაშავდეთო. გაძლიერებულ ვის წესების ძალით, ვინც არეულობის ქმედ ბრბოში გაერევა, მონაწილეობაც არ მიიღოს არეულობაში, მაინც დაპა რებულ იქმნება 1—3 თვემდე, ან 500 ნეთი ჯარიმა მიესჯებაო.

◆ ოდესიდან დეპეშით ატყობინებენ „ ვრემია“-ს, რომ ქალაქში მშვიდობიან ჰსუფევს. ცხენის რკინის გზებზე მოძრა დაიწყო. დაუწყიათ აგრეთვე მუშაობა ს და-სხვა ქარხნებში.

◆ ხერსონის გუბერნატორს ბრძანება უგზავნია მაზრის უფროსებისათვის: ლეთ პოლიციის დარაჯებს, თვალ-ყური ვნონ სოფლებში ყველა უცნობ, საეჭვო რებს და იმათაც, რომელნიც არეულ სთესენ ხალხში სხვა-და-სხვა უსაფუძვლო ბის და აკრძალულ წიგნებისა და წერ ბის გავრცელებით. თვალ-ყური უნდა ნოთ აგრეთვე იმ გლეხებს, რომელნიც ტატორების გავლენით ავრცელებენ ხალ ამ აკრძალულ ნაწერებსაო.

◆ გზათა სამინისტროს განუზრახავს ნის გზის მომხმარებელ საზოგადოებათ წეობა აღმოუჩინოს გრძელ-ვადიან სესხ ცემით. რკინის გზების გამგეობათ უფ მიენიჭება, ყოველ თვე ავანსით დაეხმ ამ საზოგადოებათ, სანამ იგი თავის ლეებს ფულს გადაახდევინებდეს, ე. რიცხვამდის. რკინის გზის ადმინისტრ დაევალა, თვალ-ყური ადევნოს მომხმარ საზოგადოებათ და ენერგიულად. მოეკ ამ საქმის განწესრიგებას.

◆ [illegible]

ველს უკვე მოუცია [illegible] ქალთა საპედაგოგო კურსების დაარსები სახებ.

◆ ოფიციალურ ცნობებიდან სჩანს, 1900 წლის დამლევს რუსეთში არსებ ყველა რკინის გზები სიგრძით 48,783 სტი ყოფილა; ამათგან 32,309—სახა რკინის გზები და 16,474—კერძო საზ დოებათა. ამათ გასაყვანად დახარჯულა: სახელმწიფო რკინის გზებზე 3.200 მილ მან. და კერძო საზოგადოებათა გზებ 1,500 მილიონი მანეთი.

◆ ქ. ტირასპოლში აღლუმის დროს, მელსაც დაესწრო დიდი მთავარი ნიკოლ ნიკოლოოზის ძე, ერთი ოფიცრის დაფრთხა, ჩამოაგდო მხედარი და სასიკ ლოდ დააშავა. ოფიცერი ნახევარი თის შემდეგ გარდაცვლილა.

◆ ფინანსთა მინისტრის ბრძანებით ვის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში სტუ ტებად მხოლოდ იმათ მიიღებენ, რომელ მიმდინარე 1903 წელს დაუსრულებიათ რსი.

◆ გზათა სამინისტროს უკვე შეუმუ ბია პროექტი რკინის გზის თავისუფალ ქირავებულ მოსამსახურეთათვის სახელმ სამსახურის უფლებათა მინიჭების შესახ

◆ 29 ივლისს ისევ ამოვარდნილა პეტერბურგში და ადიდებულა მდინარე გემების მიმოსვლა შეჩერებულია. სახლ ძირითა სართულში მცხოვრებნი მეტად ჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებიან

◆ პეტერბურგის ცეცხლისაგან დამზ საზოგადოებაში ორი უცნობი კაცი ტიმრებიათ, რომელნიც პეტერბურგის მოსკოვის გაზეთების თანამშრომელთა ლით მისულან იქ და ემუქრებოდნენ ობას, 1000 მანეთს თუ არ დაგვით ყველა თქვენ ხრიკებს გამოვაქვეყნებთო. თან ჰქონიათ და უჩვენებიათ უკვე ბილი წერილის საკორექტურო ფურც

◆ განზრახვა აქვთ, მიმდინარე წლ ლოში პეტერბურგში აქციონერ საზოგ ებათა ბუხჰალტერიებისა და ანგარიშის რმოებლების კრება მოიწვიონ. კრების ვრესი საგანი ერთნაირ საანგარიშო სი ღონისძიება იქმნება.

ვლადიმირის სახელოსნო გამგეობას განზრახავს ხელოსანთა შეგირდებისათვის სკოლის დაარსება იმ მიზნით, რომ მშობლებმა ამ სკოლებში და არა სახელოსნოებში მიაბარონ თავისი შვილები აღსაზრდელად და ხელოსნობის შესასწავლად.

პრესსა

„პეტერბ. ვედომ."-ის თანამშრომელი წერს ამ ბოლო დროს მომხდარ როსტკოვსკის მკვლელობის შესახებ:

არაფერზე წერა არ შემიძლია. არ შემიძლია ამოვაგდო მეხსიერებიდან საცოდავი როსტკოვსკის მოკვლის ამბავი.

ჩვენ მოწინავე წერილში გამოვთქვით აზრი ამ საქმის შესახებ: უნდა განვდევნოთ თათრები ევროპიდან, უნდა აღვგავოთ ისინი პირისაგან ქვეყანისა, მაგრამ განა ასე ადვილია ევროპასთან შეთანხმება, შეთანხმება იმ კაცობრიობასთან, რომელიც ყველაზე უფრო ფულს აღმერთებს.

განა ჰფიქრობს ვინმე ნამდვილ ცივილიზაციაზე, ადამიანთა ნამდვილ კეთილდღეობაზე? განა იტანჯება ვინმე ჩვენ დროში თავისი მოყვარის გულისთვის? მიისწრაფვის მაღალი იდეალისაკენ?

რასაკვირველია, არა. ამ გზას მხოლოდ ადგია ორი-სამი განცალკევებული ფილოსოფოსი და ჩვენი სამშობლო რუსეთი, რომელიც ევროპიელებს ამიტომ გულ-უბრყვილო, დაქვეითებულ ქვეყნად მიაჩნიათ.

რა თავმომწონედა და უგუნურად დასცინის ევროპიელი პრესსა ჩვენში, საროვში გამართულ დღესასწაულებს, როგორ დაივიწყა მან თავისი იდეალები, როგორ უარჰყო ისინი!

⁂

ხერსონის გუბერნიის საერობო გამგეობის თავმჯდომარე ჩამოსულა პეტერბურგიდან და საუბარი ჰქონია რუსეთის გაზეთების თანამშრომლებთან ერობის შუამდგომლობათა შესახებ კანონის შეცვლაზე. მისი სიტყვებიდან სჩანს, რომ სახელმწიფო საბჭოს განუხილავს საკითხი საერობო შუამდგომლობათა საგნის შეზღუდვის შესახებ. სამინისტროს აზრით, ერობანი საერობო დაწესებულებათა დებულების ძალით, სხვა-და-სხვა შუამდგომლობათ აღძვრენ ხოლმე, რომელნიც მათ უფლებას აღემატებიან, საზოგადო სახელმწიფო ხასიათისანი არიან და ადგილობრივ საჭიროებას არ წარმოადგენენ: მაგალითად 8 საათის სამუშაოს შემოღება ქარხნებში, სასამართლო წესდების შეცვლა, გლეხების გაწკეპლვის გაუქმება და სხვ.

შინაგან საქმეთა მინისტრის აზრით, კანონმა დაავალა ერობათ, მხოლოდ ადგილობრივ საჭიროებათა შესახებ იზრუნონ, ამ მხრივ მათი მოქმედების ფარგალი განსაზღვრულია, საზოგადო სახელმწიფო საქმეთა შესახებ ზრუნვა კი—უმაღლეს სახელმწიფო დაწესებულებათ დაევალა. ეს გარემოება-ადგილობრივი საჭიროება და სარგებლობა—ყოველთვის უნდა იქონიონ სახეში ერობათ სხვა-და-სხვა საკითხთა განხილვის დროს.

ამიტომ შინაგან საქმეთა მინისტრის წინადადებით, საგუბერნიო და სამაზრო ერობათ მხოლოდ ისეთი შუამდგომლობანი უნდა აღძრან ხოლმე, რომელნიც უწყების [illegible] არ აღემატებიან.

სახელმწიფო საბჭო მიემხრო მინისტრის აზრს და დაადგინა, რომ საგუბერნიო ერობათ ჰქონდეთ უფლება მხოლოდ იმ საჭიროებათა შესახებ აღძრან შუამდგომლობანი, რომელნიც მთელ გუბერნიას ან რამდენსამე მაზრას შეეხება, მაზრის ერობათ კი უნდა ჰქონდეთ უფლება მხოლოდ მაზრის საჭიროებათა შესახებ აღძრან შუამდგომლობა.

თეატრი

თელავი. როგორც წინად გწერდით, თელავში წარმოდგენები იმართება ქ-ნ ნ. გაბუნია-წერეთლის მონაწილეობით. მეორე წარმოდგენა თუმცა 27 ივლისისთვის იყო დანიშნული, მაგრამ ამინდობის გამო გადასდეს და ოთხშაბათს, 30 ივლისს, გამართეს. წარმოადგინეს „დაქცეული ოჯახი" სუნდუკიანცისა და „დედის ერთა" გუნიასი. წარმოდგენამ, როგორც მოველოდით, კარგად ჩაიარა და არც უამისობა იქნებოდა, რადგან მონაწილეობას იღებდნენ გაბუნიას ქალის გარდა ქ-ნი დიდებულიძე-გამრეკელისა, მსახიობნი ვ. გამრეკელი და დ. აწყურელი და ძველი სცენის მოყვარენი მ. აჯიაშვილი, თ. იდ. ვახვახიშვილი და სხვანი. სალომე [illegible] ცოლი (ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა) მშვენიერი რამ იყო, ისე თამაშობდა, რომ ხამი კაცი ვერ შეატყობდა, სცენაზე იყო მართლა, თუ ცხოვრებაში მოქმედებდა. ძალიან კარგად ითამაშა გულბაანთ ოსეფას როლი ვ. გამრეკელმა. დიდებულიძე-გამრეკელისამ (ხახო) ნახევარი მოქმედება ჩინებულად დაიწყო, მაგრამ ბოლომდის ვერ შესძლო ძველი დროის დედაკაცის როლის დასახვა. სამაგიეროდ მეორე მოქმედებაში ფარსიდას გოდის როლი კარგად ჩაატარა. ნამდვილი კაპასი სომხის დედაკაცი იყო, რომელსაც სიმდიდრით ამოაქვს თავი, რადა სალომეს [illegible]. კიკო-მოზე, ფარსიდას ნათესავი, (დ. აწყურელი) მართალია ამ პიესაში მარტო მესამე მოქმედებაშია, მაგრამ ერთი მოქმედებაც საკმარისი იყო, რომ აწყურელს თავის ხერხიანი თამაშით საზოგადოება აღტაცებაში მოეყვანა. დანარჩენი მოთამაშენი ხელს უწყობდნენ ანსამბლს. მეორე პიესამ უკეთესად ჩაიარა და საზოგადოებაც ძლიერ გამხიარულდა.

როგორც აფიშაში იყო გამოცხადებული, წარმოდგენა დაიწყო 9 საათზე, მაგრამ ხალხი ჩვეულებრივ გვიან მობრძანდა. პირველის მოქმედების განმავლობაში სულ შემოდიოდნენ და სკამების ძახილისა და ადგილის დაჭერის დროს სხვებს მოსმენას უშლიდნენ. ამასთან გარედან ბზუბის ხმა და ხმაურობა შემოდიოდა, რაც შემდეგისთვის სასურველი არაა. წარმოდგენას ბევრი ხალხი დაესწრო.

დიმიტრაშვილი.

კუხი. თუ წინად კუხში სრულიად არ იმართებოდა წარმოდგენა, წელს ამ სოფელში სამჯერ გაიმართა. ვიმედოვნებთ, რომ ზაფხულის დამლევამდე კიდევ გაიმართება თუ ორი არა, ერთი წარმოდგენა მაინც. წარმოდგენას კუხელები [illegible] ბლომად ესწრებიან. კუხში გამართულმა წარმოდგენებმა საზოგადოდ ცუდათ ჩაიარეს. მიზეზი ამისა იყო: სცენის სივიწროვე, მოუწყობლობა, ტანისამოსის უქონლობა და სხვ. მსგავსი ნაკლი თითქმის ყველა მიყრუებულ პროვინციის სცენას ემჩნევა.

ი. ა.

ცხრა აგვისტოს სურამში ქართულ თეატრის არტისტი კონს. ყიფიანი ჰმართავს [illegible] საღამოს სალიტერატურო და სამუსიკო განყოფილებით. ამ საინტერესო საღამოში მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ოპერის არტისტი-ქალი მ. ი. მიხაილოვისა, ექ. ს. მესხი, დიუგერნე; ბ-ნნი ნ. ა. ოხსიანი, კ. ცხომელიძე, კ. ს. მესხი, ა. კაცაძე, თვით კონს. ყიფიანი, თავ. ი. ა. ბარათაშვილი, ა. ი. ადამიძე, ევდოშვილი, ა. წულაძე, ა. მ. ციმაკურიძე, კ. ი. ჯაფარიძე და ი. პოლუმორდვინოვი. „ბავშვების საღამო" დაიწყება ნაშუადღევის ოთხ საათზე და გათავდება საღამოს 9 საათზე. დიდებისთვის საღამო დაიწყება 9 საათიდან. იმღერებენ, წაიკითხავენ ლექსებს და სცენებს და სხვ. საღამოს გამგებად არიან ატატო ანანიაშვილისა, ექ. მესხი და ადნაძე.

პეტერბურგის სამხატვრო-სალიტერატურო საზოგადოებისთვის საპრემიოდ წარუდგენიათ 180 პიესა. გამგეობას უკვე წაუკითხნია ეს პიესები და რამდენიმე (უკეთესები) ამოურჩევია ხელმეორედ წასაკითხად, კონკურსის შედეგი სექტემბრის პირველ რიცხვებში გამოცხადდება.

„სახალხო სახლი", რომელიც ტფილისში შენდება ზუბალაშვილის მიერ შეწირულ ფულით, მალე დამთავრდება. კედლები უკვე აიყვანეს და ეხლა სცენის თაღს აკეთებენ. ერთი თვის შემდეგ შენობას დაჰხურავენ და შეუდგებიან შიგნით მოწყობას.

ს. ზემო ავჭალა. კვირას, სამ აგვისტოს, აქ წარმოადგინეს „და-ძმა"—გუნიასი. წარმოდგენამ მეტად სუსტად ჩაიარა. არ ვარგოდა არც წარმოდგენა და არც ადგილი წარმოდგენისა, თუმცა ფასები კი (70 კაპ.—ერთ მანეთამდე) ძლიერ ძვირი დაედოთ ადგილებისათვის. ამავე დღეს ქვემო-ავჭალაში სცენის მოყვარეთა პატარა წრემ წარმოადგინა „ადამ და ევა". წარმოდგენას მრავალი მდაბიო ხალხი დაესწრო, რადგანაც შესასვლელი ფასი (5—10 კაპეიკამდე) მცირე იყო. წარმოდგენამ სუსტად ჩაიარა.

წერილი თელავიდან

რაზმის გადაყვანა

კავკასიის მსროლელთა ჯარის პირველი დრუჟინა, რომელიც შესდგა წინანდელ მილიციისაგან, ან კავკასიის მე-5 მსროლელთა ბატალიონი, სამუდამოდ [illegible]. წინათ მილიცია შესდგებოდა განსაკუთრებით ქართველებისაგან, რომელთაც მილიციის დროშას ქვეშ ბევრჯელ მოურწყავთ სისხლით ბრძოლის ველი. მილიცია შემდგარა მე-30 წლებში და 72 წელიწადია, რაც იგი კახეთშია. ნახევარი ბატალიონი უკვე 29 და 31 ივლისს გაემგზავრა ერევანს, ხოლო ნახევარი 5 და 9 აგვისტოს გავა თელავიდან. ამისათვის კახეთი ემშვიდობება დასახელებულ ბატალიონს. თელავ-თიანეთის და სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურობამ უნდა მიართვას ხატი. გამოსათხოვარ სადილს უმართავს 4 აგვისტოს. სოფლის წარმომადგენლებს ძველი ნამსახური მეომარნი უკვე გამოემშვიდობნენ 29 ივლისს. თელავში თავი მოიყარეს ყველა სოფლის საზოგადოების წარმომადგენლებმა—მამასახლისებმა და ნაცვლებმა და ძველმა მეომრებმა. მათ შორის იყო ყველაზე ხნიერი მეომარი შილდელი გლეხი, დიმიტრი კოიშვილი, 72 წლისაზე მეტი. ამ კოიშვილმა მიამბო: მილიციაში შევედი 1853 წელს თავ. ლევან მელიქიშვილის სარდლობის დროს. ვემსახურე თავ. ჯორჯაძესა, ზუბალაშვილისა, ქობულაშვილისა და ორბელიანის ხელში, სულ 18 წელიწადი. თითქმის ყველა პატარა შეტაკებაში და ომში მიმიღია მონაწილეობა: ლეკიანობში, შამილის დაჭერის დროს, დაღესტანში—ხატრახოს, ხუფრას, მცებეროს, იდაან-ხუგის და სხვა სოფლებს და სიმაგრეების აღებაში, ზაქათალის ოლქის აჯანყებაში, გენერალი შალიკოვი რომ მოჰკლეს და სხვ. ბევრგან მიმიღია მონაწილეობა, მაგრამ დაჭრილი კი არა ვარ, არც პენსია მაქვს ბევრი—წელიწადში 30 მანეთი, მენდლებს-კი ხშირად ვიღებდით. ჯამაგირს მილიციაში 92 მან. ვიღებდით წელიწადში, იარაღი და ტანისამოსი იმათი იყო, საუკეთესო ხირიმის თოფებით ვიყავით შეიარაღებული. პირველად რომ მილიცია შემოიღეს, ჯერ ერთი თვიანი იყო, მერე 3 თვიანი, ექვს-თვიანი, წლიანი რომ დაიწყეს, მე მაშინ ჩავეწერე. კენჭით იყო ჩარიცხვა, როგორც ეხლაა, თუ სხვანაირად, ვკითხე. რას მიბრძანებ, შენი ჭირიმე, ეგ რა სათქმელია: ჩამოვლიდა ჯარის უფროსი დაუძახებდა ბიჭებს, „ვისაც გული გერჩით ომისათვის და სამშობლო სამსახურისათვის, გამოდითო", და ჩვენც რჩეულ-რჩეული ბიჭები გავდიოდით.

გამოთხოვების დროს ეჭირათ ტაბლები მამასახლისებს ხელში, რომლებზედაც ელაგა ორ-ორი ჩარექა ღვინო, პური, მარილი და თასებით ხორაგი. მთელი დეპუტაცია, რიცხვით 100—120 კაცი, ორი ზურნა, ბოქაული და მაზრის უფროსი გაემგზავრა ყაზარმისაკენ. ეზოში მუსიკის კვრით დახვდნენ სალდათები და ოფიცრები. მაზრის და ჯარის უფროსთა ერთმანერთს სიტყვა უთხრეს, სოფლის წარმომადგენლებმა მისცეს პურ-მარილი, რომელიც სალდათებმა ჩამოართვეს. შემდეგ დროშა გამოიტანეს საჩვენებლად. ორსავე მხარეს მუსიკა და ზურნა დაუკრეს და სამხედრო სალამით მოიტანეს მეომრების წინ. პირველად გადავიდა ძველი ნამსახური კოიშვილი, დაიჩოქა და გამოეთხოვა. მერე მივიდნენ დანარჩენი მეომარნი და მამასახლისები და ისევ იმ ამბით წაიღეს უკან. მერე აავსეს ჭიქები და ერთმანერთის სადღეგრძელოები დალიეს, ამ დროს მუსიკის და ორ-ორი ზურნის კვრა და ურას ძახილი არ შეწყვეტილა. მერე დეპუტაცია დაბრუნდა შინ, გამოაცილეს როგორც ოფიცრებმა, ისე სალდათებმა მუსიკის დაკვრით. გზაზე ორი ზურნაც უკრავდა. თელავის მოედანზე ოფიცრები ღვინით გაუმასპინძლდნენ, ისევ დაიწყეს ღვინით ერთმანეთის დღეგრძელობა, ჰსვამდნენ ღვინოს სოფლელებიც. ჭიქა-ჭიქაზე იცლებოდა და კიდევ ვერ აძღებდნენ ერთმანეთის გამომშვიდობებას. ბოლოს გამოემშვიდობნენ: სამხედრონი მუსიკის კვრით ყაზარმაში დაბრუნდნენ, ხოლო სოფლელები ზურნით ბაზარზე გაიარეს.

დიმიტრაშვილი.

დაბა-სოფლები

ჩხარი (იმერეთი). 31 ივლისს ჩხარიდან გასული ომნიბუსი, რომელიც ხალხით სავსე ყვირილაში მიდიოდა. მდინარე ჩოლაბურთან დახვდნენ ყაჩაღები, გაუჩერებიათ ომნიბუსი და ვისაც რა ჰქონია, წაურთმევიათ. წაურთმევიათ საათები, ბეჭდები, რევოლვერები, ოქროს ბეჭდები, ფული და ბევრი სხვა. დაუჭრიათ ერთი მგზავრი ანდრო ხუჯაძე, ერთი ტყვია მარჯვენა ხელში მოურტყამთ, მეორე—ბარძაყში. ამოვიდა თუ არა ეს ამბავი ჩხარში, მაშინვე ხუჯაძის ძმები და ორმოცამდე ახალ გაზდა ცხენებით წავიდნენ იქ, სადაც ომნიბუსი გაძარცვეს. ყაჩაღთაგან, როგორც მნახველთ გადმოგვცეს, ერთი თათარი ყოფილა.

[illegible]

პატარძეული (გარეჯ კახეთი). ამის წინად „ცნობის ფურცელ"-ში უკვე გვქონდა აღნიშნული, პატარძეულის სოფლის საზოგადოებამ რა დონის ძიებანი იხმარა ქურდობის აღმოსაფხვრელად და ავკაცობის მოსასპობად. ყრილობის მიერ ამორჩეულმა 14 კაცმა შემდეგაც განაგრძო გამოძიება და 20 ივლისის ყრილობაზედ შედგენილ სიაში შეტანილ იქმნა მხოლოდ 20 ქურდი, რომელთა შორისაც მაზრის უფროსის მიერ უკვე გადაყენებული მამასახლისია. 27 ივლისს პატარძეულის სოფლის საზოგადოებას კიდევ ჰქონდა ყრილობა, რომლის დროსაც განაგრძო ქურდებისა და ავკაცების გამომჟღავნება. ყრილობას დაესწრო 300 კაცზე მეტი. წინანდელ 20 კაცს 7 კაციც მიუმატეს. 27 ივლისის ყრილობაზედ სოფლის დეპუტატების განკარგულებით კანცელარიაში მოიყვანეს ორი კაცი, რომელთაც სხვა-და-სხვა ავკაცობა ბრალდებოდათ. ამ კაცებზე სოფლელნი ისე გაჯავრდნენ, რომ შეამტვრიეს კანცელარიის კარები, გამოიყვანეს დამნაშავენი და დაუშინეს ჯოხები. ერთმა ძლივს გაასწრო გაქცევა და დამალვა. გამოკითხვის დროს ამ ქურდებმა სთქვეს, რომ თუ რამე დანაშაულობა მიგვიძღვის, ბრალი მაინც მამასახლის ედება, რადგან იგი სარგებლობდა თავის მდგომარეობით და ხელმძღვანელობას უწევდა ქურდებსაო. აპარვინებდა საქონელს, შემდეგ საქონლის პატრონს სეხსად ფულს აძლევდა გამოსასყიდად და ამ რიგად ორ ნაირ მოგებაში იყოო. საზოგადოდ, ქურდების წინააღმდეგ ხალხის მიერ ხმის ამოღებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პატარძეულის ქურდებზე. წინად ღამეში ხუთი-ექვსი ბოროტ-მოქმედება მოხდებოდა ხოლმე, ეხლა-კი, ეს მეორე თვეა, პატარძეულში ერთი შაურისა არა დაკარგულა რა. უეჭველია ეს შედეგია ხალხის თავ-გამოდებისა და პირადად ქურდების დევნისა. ქურდები ისე დაფრთხნენ, რომ დღეს გაწბილებულნი ფარულად დადიან და ყოველს დონეს ხმარობენ ხალხს თავი შეურიგონ და მათი რისხვა თავიდან აიშორონ. ხალხს იმათი აღარა სჯერა-რა და თუ შემთხვევა მიეცა, ცემასაც აღარ ერიდება. ორი ქურდი ამას წინად ისე გალახა ხალხმა, რომ დღესაც ავად მყოფნი შინა წვანან. საეჭვო კაცთა სიაში მოქცეულთაგან ამას წინად რამდენიმე კაცი მივიდა სოფლის ერთს დეპუტატთან და შეეხვეწა, გვიშუამდგომლე ხალხთან, ნუ გაგვრისხდება, ნუ გაგვდახავს და ყოველსავე სიმართლეს გეტყვითო. ამათაც უფლედ ქურდობის ავან-ჩავანად მამასახლისად ნამყოფი დაასახელეს.

№—მე.

სხვა და სხვა ამბები

როგორ სჯიან ჩინეთში მოღალატე ცოლებს. ციმბირის ერთი გაზეთი შემდეგ ამბავს გადმოგვცემს. ამას წინად, ტიან-ძინის მახლობლად, სოფელ სი-ხე-ხუნში პოლიციელს დაუნახავს უბრალო ჩინელი. ხელში ამ ჩინელს ბოხჩა ეჭირია, რომელსაც წურწურით სისხლი გასდიოდა თურმე. პოლიციელს შეუჩერებია ჩინელი და უკითხნია, ეგ რა მიგაქვსო. კაცისა და ქალის მოკლული თავები მიმაქვსო, უთქვამს იმასაც. აღმოჩნდა შემდეგი. წინა ღამეს, როდესაც ეს ჩინელი სეირნობიდან სახლში დაბრუნებულა, უნახავს ვიღაც კაცი, რომელსაც იმისი ცოლი მხურვალედ ეხვეოდა და ეალერსებოდა თურმე. გაბრაზებულ ჩინელს ბევრი აღარ უფიქრნია, დაუვლია მახვილისთვის ხელი და ოთხის დაკვრით უცნობისთვის მოუგდებინებია თავი, ხოლო ორის დაკვრით—ცოლისთვის. ეს ჩინელი თუმცა შეუპყრიათ, მაგრამ, როდესაც საქმის გარემოება შეუმოწმებიათ, ე. ი. როდესაც მართალი გამომდგარა ის, რაც ჩინელს უთქვამს, გაუნთავისუფლებიათ. ჩინურის კანონით, მოღალატე ცოლის მკვლელს არავითარი სასჯელი არა აქვს დაწესებული. პირიქით, იმ ქმარს, რომელიც გარყვნილობისთვის ცოლს მოჰკლავს, მთავრობისაგან ოცი ლანი (28 მანეთი) ეძლევა სხვა, უფრო პატიოსან ცოლის მოსაძებნად. კარგია, რომ ჩვენში არ არის ასეთი ჯილდო, თორემ ცოლების ნამდვილი ჟლეტა გაჩნდებოდა.

ქალის შლიაპა უნდა გადავარდეს. მგონი მალე ბოლო მოეღოს იმ საფთხუმს, რომელსაც დღეს ქალის შლიაპას ეძახიან. ლონდონში იმ მანდილოსანთ, რომელნიც „მოდებს" აკეთებენ" ხოლმე, გადაუწყვეტიათ, სრულიად ხელი აიღონ შლიაპის ხმარებაზე. შლიაპის მაგივრად ჰფიქრობენ პაწაწა ქუდების შემოღებას. ლონდონის ქუჩებში ეხლაც შეჰხვდებით უშლიაპოებს. ბევრი უბრალო ლენტებს იკეთებს თურმე.

ევროპაში ამ ბოლოს დროს მეტად დიდ ყურადღებას აქცევენ რძის სიკარგეს. არც საკვირველია. მოზარდი თაობა უმთავრესად რძით იკვებება და თუ ეს საკვები ხეირიანი არ იქმნება, ამ თაობის ჯანმრთელობა საეჭვო ხდება. ეხლახან საფრანგეთში დაარსდა ახალი საზოგადოება „რძის წვეთი"-ს სახელით. დააარსეს იგი პროფ. ბოდენმა და ექიმმა თითურამ. საზოგადოებას აზრადა აქვს იაფ-ფასად

ეროვნული ბიბლიოთეკა

უვნებელი რძე მიაწოდოს ღარიბ მცხოვრებთ. მარტო პარიზში 23 ასეთი საზოგადოება არსებობს, მთელ საფრანგეთში—64, საფრანგეთს გარეთ: ევროპაში—37, ამერიკაში—4, აფრიკაში—2, აზიაში—1.

—

ნატალია, სერბიის ექს-დედოფალი. სერბიის დედოფლად ყოფილი, ნატალია, ამ ჟამად პარიზში საყურადღებო წიგნსა ჰბეჭდავს თურმე. ამ წიგნში ისეთი ამბები და საბუთებია მოქცეული მეფე ალექსანდრეს და დედოფალ დრაგას მოკვლის შესახებ, რაც დღემდის არ გამოქვეყნებულა. ავტორი ასახელებს აგრეთვე ყველა იმას, ვისაც მკვლელობაში დანაშაული მიუძღვის. ყველანი ამ მკვლელობას შეთქმულ აფიცრებს აბრალებენ მხოლოდ. ნამდვილად-კი, როგორც წიგნში იქმნება გამოქვეყნებული, აფიცრების ზურგს უკან ბევრნი სხვანიც ყოფილან დამალულნი.

—

ინგლისში ეხლა-ხან დაუსრულებიათ ერთი შესანიშნავი გამოცემა, ეგრედ წოდებული ბიოგრაფიული ლექსიკონი. ამ ლექსიკონში მოთავსებულია ბიოგრაფიები ცოტად თუ ბევრად ცნობილ ინგლისელებისა. სულ 63 ტომია და შეიცავს 31,000 კაცის ბიოგრაფიას. შედგენაში მონაწილეობა მიიღო 700 კაცმა. გამოცემას რვა წელიწადი მოუნდნენ და ხელის-მოწერა იყო გამართული. მთელი გამოცემა ამ ჟამად გაყიდულია.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 აგვისტო

პეტერბურგი. 3 აგვისტოს ხელმწიფე-იმპერატორი და ხელმწიფა-იმპერატრიცა წაბრძანდნენ ალღუმეზე პსკოვს ახლო. მათ უდიდებულესობასთან ერთად წაბრძანდა დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასული. —დიდი მთავრინა მარიამ პავლეს ასული პსკოვს წაბრძანდა.—დიდი მთავარი ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძე ბრესტ-ლიტოვსკს წაბრძანდა.—„პეტერბ. ვედ.“ იუწყებიან, რომ საკითხი ვოლგაზე რკინის ხიდის გაკეთების შესახებ ქ. იაროსლაველმა საბოლოოდ გადასწყვიტა.—„ნოვოე ვრემია“-ში დაბეჭდილია: „მომავალ წელს პეტერბურგში მოხდება კრებები, რომლებზედაც განიხილავენ საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს რუსეთში სამხატვრო განათლება“.—საჭიროდ ცნობილია, რომ შემოდგომულ იქმნას პირველ იანვრიდან პეტერბურგსა და მოსკოვს შუა დამატებითი სწრაფი მატარებელი.

სოფია. ამბოხება მოედვა კრატოვოს, ჯუმაის, ბანსკოს, ნევროკოპის და რაზლოგის კაზებს (ოლქებს). მეამბოხეებს სხვა მცხოვრებლებიც დაეხმარნენ და ყველა ადგილებში ბრძოლა გაჩაღდა. ადრიანოპოლის ვილაეტშიაც ძლიერი მოძრაობაა. მცხოვრებლები ყველგან მონაწილეობას იღებენ ამბოხებაში. — დედეაგაჩ-სალონიკის რკინის გზის შტოზე ააფეთქეს და დაანგრიეს მატარებელი, რომელშიაც ოსმალთა ჯარის-კაცნი იყვნენ. მაკედონიის წრეები მხნედ სცდილობენ სახელმწიფოების ყურადღება მიაქციონ მაკედონიის საქმეებს, მაგრამ სახელმწიფოები ჯერ საქმეში არ ერევიან და მხოლოდ თვალ-ყურს ადევნებენ.—„სოფიის უწყებ.“-ი მთავარს უსაყვედურებენ, ამისთანა მნიშვნელოვან დროს როგორ დასტოვა სამთავროო.

სახალინი. ლონდონიდან მოვიდა ხუთ ინგლისელისგან შემდგარი კომისია ნავთის მიწების გასასინჯად. ეს მიწები კუნძულის აღმოსავლეთ მხარეზე ღმოუჩენიათ და გამოსაკვლევად ინჟენერ კლეიესთვის ჩაუბარებიათ. მოსულთა შორის ერთი გეოლოგოსია, ერთიც ინჟენერი.

პეტროკოვი. თავადმა ობოლენსკიმ, იმ ფულის გარდა, რაც თითონ პირადად დაურიგა ტომაშოვის და გლინნიკის ღარიბებს, კიდევ გადასცა გუბერნიის უფროსს 3,500 მ. იმავე მიზნით.

პორტ-არტური. 22 ივლისს ინკოუში, ინკოუს ნავთ სადგურის რუსების მიერ დაჭერის და რუსულ სამოქალაქო მმართველობის შემოღების მესამე წლის თავზე, გადაიხადეს დიდებული პარაკლისი ჯარის და ზღვაოსანთა თანადასწრებით. ხელმწიფე-იმპერატორის, ხელმწიფის გვარეულობის და ამ მხარის უფროსის პატივსაცემლად „ურა“ დაიძახეს.—დიდის ამბით აკურთხეს ახალი სახლი გრადონაჩალნიკისა; პორტ-არტურში ღამის თავშესაფარი გახსნეს.—მატარებლების შეჩერებული მიმოსვლა ისევ დაიწყო. დაზიანებულ ალაგებს ასწორებენ.—22 ივლისს ქარიშხალმა სადგურ იასმინისკენ გააქანა ქვა-ნახშირით დატვირთული 13 ვაგონი და კინაღამ სახალხო მატარებელს დაეჯახა; მაგრამ მაშინისტის სიმარჯვემ მატარებელი გადაარჩინა. 3 ქვა-ნახშირიანი ვაგონი დაიმტვრა.

ალიკანტე. მიწა იძრა. ხალხი არ დაშავებულა.

სოფია. გენერალი ცონჩევი ბოლგარიიდან გაჰქრა.—ბოლგარიის მთავრობამ სახელმწიფოებს გაუგზავნა მემორანდუმი, რომელშიაც დაწვრილებით აღნიშნა ფაქტები და ნამდვილი მიზეზები ეხლანდელ მაკედონიის ამბოხებისა.

ნეაპოლი. ვეზუვი კიდევ ცეცხლს ისვრის. ლავა ძალიან დიდ მანძილზე გადადის, პომპეისაკენ არის მიმართული.

კონსტანტინეპოლი. უსკიუბ-სალონიკის სამხედრო მატარებელი დაზიანდა დინამიტის ყუმბარის აფეთქების გამო. ერთი ჯარის-კაცი მოკვდა, ბევრი დაიჭრა.—კეპრულიუს ახლო რკინის გზის ხიდზე იპოვნეს რელსებზე დამაგრებული ორი პარკი დინამიტით.

კონსტანტინეპოლი. საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ რუსეთის კონსულის მკვლელობა შეთქმულობის შედეგია. დარაჯმა განგებ არ მისცა სალამი. ამბობენ, ბუკოვოდან მონასტირში მიმავალ გზაზე ორ ადგილს ოსმალები იყვნენ ჩასაფრებულნიო.

კონსტანტინეპოლი. ცნობა კრუშევოს აღების შესახებ ჯერ არ გამართლებულა.—პრილეპის მიდამოებში სასტიკი ბრძოლა მოხდა რაზმებთან, რაზმებმა 100-მდის კაცი დაჰკარგეს.—ფლორინის კაზაში (ოლქში) რაზმებმა დასწვეს 4 წისქვილი, ბევრს ადგილას მომკილი პურიც.

კონსტანტინეპოლი. 29 ივლისს გუმენჯს ახლო სალონიკის ვილაეტში რაზმებთან შეტაკების დროს მეამბოხენი დინამიტის ყუმბარებს ისროდნენ. ტყუილია ის ხმები, ვითომც ადრიანოპოლის ვილაეტში რაზმების მოძრაობა გაძლიერებულიყოს.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 1 აგვისტო

გაცვლის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.	93,75
ბერლინზე 100 მარკაში	—
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,40
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	—
ბირჟის დისკონტი	5-6½%
4% სახელმწიფო რენტა	99⅝ გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	100¾ მყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. სათავ.-მამ. ბანკისა.	95⅛ „
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	449 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ ბილ. 1866 წ.	343 „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	291½ „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტ. საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5%-ანი ობლიგ. ბანკის საკრედ. საზოგადოებისა.	—
ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	—
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—
ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	188 „

მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა

18 აპრილიდან

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათით, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ა) **ტფილისიდან მიდის:**

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.), 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერივანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს, 28 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) **ბათუმიდან გამოდის:**

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) **ბაქოდან გამოდის:**

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ. 3). სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 08 წ. (2 ს წ.).

დ) **ქუთაისიდან გამოდის:**

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.) 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

შორაპნისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.)

განცხადებანი

შორაპნის მაზრის შავი-ქვის მრეწველთა კრების საბჭო

ამით აცხადებს, რომ ამა 1903 წლის 8 აგვისტოს, ქუთაისს, საბჭოს სადგომში, შუადღის 12 საათზე

მოხდება საჯარო ვაჭრობა.

უნდა იჯარით გაიცეს სამუშაო ჭიათურის შავი-ქვის სამრეწველოში ჭიქოურ-შუქრუთჭალების გზის გადასაკეთებლად. სიგრძე გასაკეთებელ გზისა 1 ვერსი 30 საჟენია; სამუშაო 6000 მანეთისაა ნავარაუდევი.

ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება, იმან საბჭოს კასსაში უნდა შეიტანოს ვაჭრობამდე 300 მანეთი ნაღდ-ფულად ან მთავრობის მიერ უზრუნველ ყოფილ სარგებლიან ქაღალდებით, ამასთან ვაცხადებთ, რომ მიწის შეძენას გზის საჭიროებისათვის საბჭო ანდობს იმას, ვისაც ვაჭრობა დარჩება.

(1—6.—1)

კურსები

ბუხჰალტერიისა, საკომერციო არითმეტიკისა და სავაჭრო უფლებისა

ტფილისის საკომერციო სასწავლებელთან.

(წელიწადი მეოთხე).

სწავლა დაიწყება 2 ოქტომბერს. კურსი გაგრძელდება არა ნაკლებ 6 თვისა. სწავლა საღამოობით იქნება, სამჯერ კვირაში. ყურის მგდებლად შეუძლიანთ იყვნენ წერა-კითხვის მცოდნენი ორისავე სქესისა.

თხოვნები საკომერციო სასწავლებლის დირექტორის სახეზე მიიღება ყოველ დღე, დილის 10-დან ნაშუადღევის 2 საათამდე, სასწავლებლის კანცელარიაში (ჩუღურეთი, რიყის ქუჩა, საკუთ. სახ. № 11).

(10—5)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მთის ქუჩაზე ს
ბინაზე ალექსანდრე თოდრიამურგელიან მ
ვილოსხის ქვეშ. სამკურნალოში 60 საწ
შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედ
და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარ
განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპ
გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ
ნით და სულით ავადმყოფებს სამკურნა
არ ღებულობს.
(0—20

შორაპნის მაზრის შავი-ქვის მრე
წველთა კრების საბჭო

ამით აცხადებს, რომ ამა 1903 წლი
აგვისტოს, ქუთაისს, საბჭოს სადგომ
ნაშუადღევის პირველ საათზე

მოხდება საჯარო ვაჭრობა

უნდა იჯარით გაიცეს აგება ოთხ სა
ვრებელ სახლისა ჭიათურის შავის-ქვის
შებისათვის. სახლები უნდა აშენდეს: „მ
შე“-ში სოფ. ზედა-რგანთან, „ჭალებ“
სოფელ შუქრუთთან, „ეწერ“-ში სოფ.
რევისასთან და „ნასათიბარ“-ში სოფ. მ
მევთან. საქმე 13,537 მანეთისაა. შეიძლ
იჯარა ოთხივე სახლის აგებისა ერთად
ცეს, შეიძლება თვითეული სახლი ც
ცალკე.

ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მს
ველთ ვაჭრობამდე უნდა შეიტანონ კას
600 მანეთი ნაღდ ფულად ან მთავრო
მიერ უზრუნველ ყოფილ სარგებლიან
ღალდებით. თუ ვაჭრობა ისე მოხდა,
თვითეული სახლი ცალკე გაიცა, მ
ვაჭრობაში მონაწილემ უნდა შეიტანოს
მო აღნიშნულ თანხის მეოთხედი.

ვაჭრობა საბჭომ უნდა დაამტკიცოს.

(1—6.—1)

გამოვიდა და იყიდება ყველგან

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგა
ბის“ მიერ ახლად გამოცემული წიგნებ

I

წიგნის ისტორია

შედგენილი ფ. კარიჭაშვილისაგან

14 სურათით. 62 გვ. ფასი 20 კაპ.

II

დანიელ დეფოს

რობინზონ კრუზე

მეორე გამოცემა მრავალის სურათით.

162 გვ ფასი 30 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-დ
ბითაც ამ ადრესით: Тифлисъ, Общес
распространенія грамотности. (3—უ.—1

ქუთაისის წყლის მილისა და ელექტრონის ტრამვაის

ამხანაგობის

გამგეობა ამით აცხადებს, რომ 24 აგვისტოს დანიშნულია საგანგებო საზოგ
კრება დასახელებულ ამხანაგობის წევრებისა. კრება მოხდება ქუთაისს, გამგეობის სადგ
ში, ტფილისის ქუჩაზე, ანანოვის სახლში, დილის 10 საათზე.

განსახილველია:

1. ფულის ანგარიში გამგეობისა 1902 წლის 10 მარტიდან 1903 წლის 1 აგვის
მდე; 2. ანგარიში ამხანაგობის მოქმედების შესახებ; 3. მოხსენება და ანგარიში გამგე
რექტორისა და აზრი გამგეობისა ამ ანგარიშის შესახებ; 4. გამგეობის მოხსენება ამხანა
ბის საქმეების გამო; 5. ამხანაგობის ხელშეკრულების შეცვლა და დამატება; 6. გამგ
ბისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევანი.
(1—6.—1)

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობა

ტფილისი.

(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სეგერნი ნომრების“ ქვეშ).

ტელეფონი № 741.

აწარმოებს ვაჭრობას ნარდად და წვრილმანად დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე.
ყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების სააფთიაქო და ქიმიური საქონ
ზა წამლები (პატენტ-მიღებული), სადასტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებელი
თიერება, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ჭირის მოსასპობი) წამლები, აფთი
და ლაბორატორიისთვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი
და-სხვა წყალი და მარილი, მრავალ გვარი და მრავალ ფერიანი საპირფარეშო სამკაუ
თმის და თვალ-წარბის სადებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმ
კეთილ სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი,
საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები—სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის
სხვ.-და-სხვა.

ადრესი ფოსტისა და ტელეგრამისა: Тифлисъ. Товарищество фармацевтовъ. 100—

Позв. ценз. Тифлисъ. 4 Августа, 190

ქუთაისის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ.

(Электропеч. Груз. Издат. Т—ва)